სტუდენტური კონფერენცია ”ოზონის შრე - სიცოცხლის ფარი”

16 სექტემბერს, ოზონის დაცვის საერთაშორისო დღეს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით და სსიპ ”გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის” ორგანიზებით სტუდენტური კონფერენცია ”ოზონის შრე - სიცოცხლის ფარი” გაიმართა.
კონფერენციაზე მოსმენილი იქნა ოზონის შრის დაცვის თემაზე კონკურსის წესით შერჩეული ათი მოხსენება, მათგან სამი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების სპეციალობის სტუდენტების მიერ პროფესორ ნინო მუმლაძის ხელმძღვანელობით იქნა წარმოდგენილი:

1. თეკლა კვარაცხელია, თათია ახალაია (III კურსი) - „ოზონის წარმოქმნისა და დაშლის ციკლები ატმოსფეროში“;
2. სოფო გიგაური (IVკურსი)- „ოზონის ხვრელების წარმოქმნა“;
3. რუსუდან ყულიაშვილი (IVკურსი) – „გადავარჩინოთ ოზონის შრე“
   აქვე მოეწყო ახალგაზრდა დიზაინერების მიერ ოზონის შრის დაცვის თემაზე შექმნილი პოსტერების გამოფენა და გამარჯვებულთა დაჯილდოვება.

სამახსოვრო საჩუქრები და სერტიფიკატები გამარჯვებულებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელმა ნილს სკოტმა გადასცეს.